Orient Logic ქართული ბრენდია. კომპანია 23 წლის წინ, 1995 წელს დაარსდა და მას მერე მომხმარებელს უწევს გარანტირებულად მაღალი ხარისხის მომსახურებას ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით. კომპანია B2B მოდელზეა ორიენტირებული და ორგანიზაციებს მაღალი ხარისხის IT-გადაწყვეტილებებით უზრუნველყოფს.

Orient Logic აცხადებს ვაკანსიას უმცროსი linux -ს ადმინისტრატორის პოზიციაზე:

ჩვენს გუნდთან ერთად, ამ პოზიციაზე თქვენ გექნებათ შესაძლებლობა სიღრმისეულად გაეცნოთ Orient Logic-ის პარტნიორი მწარმოებლების უახლეს ტექნოლოგიებს, ჩაერთოთ ჩვენი დამკვეთების IT სისტემების მოდერნიზაციის პროექტებში, შეიძინოთ მრავალფეროვანი გამოცდილება და თქვენი წვლილი შეიტანოთ საქართველოს IT ბაზრის განვითარების საქმეში.

სამუშაო ადგილმდებარეობა: თბილისი, ბელიაშვილის 106

სამუშაო განრიგი: ორშაბათი-პარასკევი, 09:30-18:00

მოცემული ვაკანტური პოზიციის ძირითადი მოვალეობები:

- მონაწილეობის მიღება დამკვეთის წინაშე მდგომი ამოცანების ტექნოლოგიური გადაწყვეტის / არქიტექტურის შემუშავების პროცესში;
- ჩართულობა პროდუქტების შერჩევის პროცესში - გადაწყვეტილების შემადგენელი კომპონენტების შესაბამისი სპეციფიკაციის პროდუქტების შერჩევაში;
- მონაწიოლეობის მიღება ტექნიკური მხარდაჭერის - ინსტალირებული სისტემების ექსპლოატაციისას წარმოქმნილი ტექნიკური პრობლემების დიაგნოსტიკასა და გასწორებაში;

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- აუცილებელია Linux ოპერაციული სისტემების ცოდნა RedHat ან/და CentOS ან/და Debian და ა.შ;
- სასურველია სხვადასხვა სერვერებთან მუშაობის გამოცდილება: HTTPd, DHCP, DNS(BIND), NFS, FTP, NTPd, etc..
- სასურველია ვირტუალიზაციის პლატფორმასთან მუშაობის გამოცდილება: ESXI ან Hyper V
- აუცილებელია ინგლისური და ქართული ენების სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

გთხოვთ, დაინტერესებულმა პირებმა გამოაგზავნოთ CV ელექტრონულ მისამართზე: Vacancy@ol.ge 2019 წლის 12 ნოემბრის ჩათვლით და სათაურის ველში მიუთითოთ ვაკანსიის სახელწოდება - **“ უმცროსი linux -ს ადმინისტრატორი”**

გისურვებთ წარმატებებს!

შპს “Orient Logic” თქვენ მიერ გაგზავნილი რეზიუმე, "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, შესაძლოა შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებსაც. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თქვენი პერსონალური მონაცემები შ.პ.ს „ორიენტ ლოჯიკი“-ს მხრიდან დამუშავდება თქვენთან სახელშეკრულებო, მათ შორის შრომითი ურთიერთობის დამყარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნებისათვის შემდგომი ერთი წლის განმავლობაში."